

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის
N2 ოთახზე, მოქალაქე თინათინი არაბიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N2 ოთახში მცხოვრები მოქალაქე თინათინი არაბიძის განცხადება /2012 წლის 15.08 Nა-6629/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N2 ოთახი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N2 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე თინათინი არაბიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4ა საცხოვრებელი სახლის N2 ოთახზე /საერთო ფართობი 36,64 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,64 კვ.მ./ მოქალაქე თინათინი არაბიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონგროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია